საქართველო

15856-01-2-202106141531

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/15856
14/06/2021

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 8 ივნისს ხელი მოეწერა „2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)" №4 ცვლილების წერილ-შეთანხმებას".

ვინაიდან 2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)" რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 20 მარტის N3408-IIს დადგენილებით, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების წერილ-შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარსადგენად, გიგზავნით ხსენებული ცვლილების წერილ-შეთანხმების დედნის ასლს ინგლისურ ენაზე მის ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად, შეთანხმების ფურცელს, განმარტებით ბარათს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების დასკვნებს.

ცვლილების წერილ-შეთანხმების პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები: ბატონი გიორგი კაკაურიძე და ბატონი ნიკოლოზ გაგუა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე - ქალბატონი მზია გიორგობიანი.

დანართი: - ცვლილების წერილ-შეთანხმების ინგლისურენოვანი დედნის ასლი;
- ცვლილების წერილ-შეთანხმების ქართულენოვანი თარგმანის ასლი;
- უწყებების დასკვნები;
- შეთანხმების ფურცელი;
- განმარტებითი ბარათი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი.
(ჯამი: 77 გვერდი.)

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 20549
14.06.2021
78

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+99532) 294 50 01
www.mfa.gov.ge



მინისტრის მოადგილე

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

72998-07-04-2-202106091103

N 07-04/72998
09/06/2021

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

დეპონირებისა და ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად გიგზავნით საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის" დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3, 4, 5 და 6 სასესხო შეთანხმებების ცვლილების წერილ-შეთანხმებების 2021 წლის 8 ივნისს ხელმოწერილ ორიგინალებს ინგლისურ ენაზე ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად:

- „2011 წლის 1 მარტის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა)" N4 ცვლილების შეთანხმების" ორიგინალი;
- ,,2011 წლის 10 მაისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1)" N7 ცვლილების შეთანხმების" ორიგინალი;
- ,,2013 წლის 19 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა-პროექტი 3) სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები)" N4 ცვლილების შეთანხმების" ორიგინალი;
- ,,2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)" N4 ცვლილების შეთანხმების" ორიგინალი;
- ,,2015 წლის 26 ოქტომბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)" და ,,2015 წლის 26 ოქტომბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)" N4 ცვლილების შეთანხმების" ორიგინალი;
- ,,2016 წლის 15 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6)" N3 ცვლილების შეთანხმების" ორიგინალი.

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

აღნიშნული ცვლილებების დოკუმენტები საქართველოს მხრიდან ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონ ლაშა ხუციშვილის მიერ, ხოლო ADB-ს მხრიდან, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის, ბატონი ევგენი ჟუკოვის მიერ.

ამასთან, ზემოაღნიშნული ცვლილების წერილ-შეთანხმებების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარმდგენი და მომხსენებელი ვიქნები თავად, ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი კაკაურიძე და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი.

დანართი: 1. ცვლილების წერილ-შეთანხმებების ორიგინალები ინგლისურ ენაზე ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად;
2. შესაბამისი უწყებების წერილების ასლები;
3. შეთანხმების ფურცლები;
4. განმარტებითი ბარათები;
5. ბრძანებები და განკარგულებები;
6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 24.05.2021 წლის #01/1477 წერილის ასლი.

.პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1477-01-2-202105241558

N 01/1477
24/05/2021

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 19 მაისის N 07-05/62415 წერილის პასუხად (სამინისტროში რეგისტრაციის N2875/01, 19.05.2021), რომელიც ეხება ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (FFA) და ამავე ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3, 4, 5 და 6 სასესხო შეთანხმებების ცვლილებების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარდგენას, გაცნობებთ რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან, აღნიშნული ცვლილებების წერილი-შეთანხმებების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენი და მომხსენებელი ვიქნები პირადად.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

62415-07-05-2-202105191600

N 07-05/62415
19/05/2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ მზია გიორგობიანს

ქალბატონო მზია,

გაცნობებთ, რომ საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გაფორმებულ „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3, 4, 5 და 6 სასესხო შეთანხმებების ცვლილების წერილ-შეთანხმებებს ხელი მოეწერება უახლოეს მომავალში.

გთხოვთ გვაცნობოთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან ვინ იქნება აღნიშნული ცვლილების წერილ-შეთანხმებების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენი და მომხსენებელი.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან აღნიშნული დოკუმენტების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენი და მომხსენებელი ვიქნები თავად და საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი კაკაურიძე.

პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010153307358921

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№4750

14 / აპრილი / 2021 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს იუსტიციის სამინიტრომ განიხილა თქვენ მიერ 2021 წლის 19 მარტის N07-04/33752 წერილით წარმოდგენილი, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3, 4, 5 და 6 სასესხო შეთანხმებების ცვლილების პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან ჩარჩო შეთანხმებასა და მე-3 პროექტთან დაკავშირებულ შეთანხმებაში ცვლილების პროექტებით იცვლება ტერმინი - „საოპერაციო კოეფიციენტის" („Operating Ratio") მნიშვნელობა, მიზანშეწონილობის ფარგლებში შეფასებას მოითხოვს სხვა პროექტებში (4,5,6 ხელშეკრულებები) ამავე ტერმინის განმარტების ცვლილების საჭიროებაც.

2. სასესხო შეთანხმებებში, UWSCG-ის საოპერაციო კოეფიციენტთან დაკავშირებული ვალდებულების ვადის გადაწევიდან გამომდინარე, განსახილველია აგრეთვე პროექტებში არსებული ძველი ვადების განახლების შესახებ საკითხებიც. კერძოდ:

ა) მე-4 პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულების დანართი 5-ის მე-8 პარაგრაფის მე-2 წინადადება;

ბ) მე-5 პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) დანართი 5-ის 8(ა) პარაგრაფის მე-2 წინადადება; და

გ) მე-6 პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულების დანართი 5-ის მე-9 პარაგრაფის მე-2 წინადადება.

3. ვინაიდან წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტებით სესხების დახურვის თარიღად განისაზღვრება 2024 წლის 29 მარტი, აგრეთვე გადახედვას საჭიროებს აღნიშნული შეთანხმებების N1 დანართებით განსაზღვრული პროექტის დასრულების თარიღებიც.

4. წარმოდგენილი ცვლილებების პროექტების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით ზოგადად შევნიშნავთ, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი შეთანხმებების პროექტები ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველო

7232-01-2-202103241723

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/7232
24/03/2021

დასკვნა

,,2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)" N4 ცვლილების შეთანხმების" პროექტის თაობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)" N4 ცვლილების შეთანხმების" პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)" რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 20 მარტის N3408-IIს დადგენილებით, წარმოდგენილი ცვლილების პროექტიც „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ძირითადი ხელშეკრულების მსგავსად, ხელმოწერის შემდგომ, ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას;

ამასთან, პროექტის ტექსტი საჭიროებს მთარგმნელობით და რედაქციულ შესწორებებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, მათ შორის: პროექტის ქართულენოვანი ტექსტის პირველ პუნქტთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)" დათარიღებულია 2015 წლის 5 თებერვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს მიერ წარმოდგენილი ცვლილების შეთანხმების დადება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

KA020168131875221

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 09/1654

22 / მარტი / 2021 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (07-04/33777, 19.03.2021წ.) წარმოდგენილი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3,4,5 და 6 სასესხო შეთანხმებების ცვლილების პროექტები.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე მიქაბაძე

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/1009 1009-04-2-202103221636

22/03/2021

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

თქვენს 2021 წლის 19 მარტის
N07-04/33770 წერილზე

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის" დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1,3,4,5 და 6 სასესხო შეთანხმებების ცვლილების პროექტები.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიშვილი

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

801-01-2-202103241654

N 01/801
24/03/2021

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 19 მარტის N07-04/33741 წერილის პასუხად (სამინისტროში რეგისტრაციის N1592/01 22/03/2021), რომლითაც წარმოდგენილ იქნა საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის 2011 წლის 1 მარტს ხელმოწერილი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის" (USIIP) დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების და მის ფარგლებში დამტკიცებული ტრანშების („პროექტი 1", „პროექტი 3", „პროექტი 4", „პროექტი 5" და „პროექტი 6") სასესხო ხელშეკრულებების ცვლილების პროექტები ინგლისურ ენაზე მათ ქართულ თარგმანთან ერთად, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ცვლილების პროექტებთან დაკავშირებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
NITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 3973/1
25/03/2021

3973-1-2-202103251138

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 19 მარტის №07-04/33798 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის" დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების №1, №3 და №4 სასესხო შეთანხმებების ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება პროექტებს №5 და №6, პროექტ №5-ის ცვლილება უნდა იყოს №4, ნაცვლად წარმოდგენილი №3-ისა. ასევე აღნიშნული პროექტიდანაც ისევე, როგორც მე-3 პროექტიდან ხდება ქალაქ თელავის ამოღება, რაც არ არის ნახსენები ცვლილებაში. ამასთან, პროექტ №6-ის ცვლილება უნდა იყოს №3, ნაცვლად წარმოდგენილი №2-ისა.

პროექტ №5 და №6-ის წარმოდგენილ ცვლილებების სხვა ნაწილები მისაღებია და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

შპს

L.L.C.

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ

76b, Vazha-Pshavela Av
Tbilisi 0186 Georg

გრიგოლ მანდარია

დირექტორი

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

34391-07-04-2-202103221223

N 07-04/34391
22/03/2021

დასკვნა

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3, 4, 5 და 6 სასესხო შეთანხმებებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებით

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების (FFA) და FFA-ის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3, 4, 5 და 6 სასესხო შეთანხმებებში განსახორციელებელ ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

აღნიშნული ცვლილებების შეთანხმებების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით მოსალოდნელია, რომ დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მათი ხელმოწერა.

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ:(+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

საქართველოს
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის
თავმჯდომარე

GEORGIAN
NATIONAL ENERGY AND WATER
SUPPLY REGULATORY COMMISSION
CHAIRMAN

23/03/2021 N 1/02-3-2676 2676-1/02-3-2-202103231742

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,

ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) განიხილა თქვენი 2021 წლის 19 მარტის N07-04/33788 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსების ჩარჩო შეთანხმების და მის ფარგლებში გაფორმებული პროექტების 1, 3, 4 ,5 და 6 სასესხო შეთანხმებების ცვლილების პროექტები (შემდგომში - ცვლილებების პროექტები) და გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ვინაიდან ცვლილებების პროექტებში მოცემულია საოპერაციო კოეფიციენტისა და საოპერაციო დანახარჯების ცნებები, აქვე განგიმარტავთ, რომ კომისია რეგულირებული საწარმოს, მათ შორის შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საოპერაციო დანახარჯების მიზანშეწონილი და გონივრული ოდენობის განსაზღვრისას იხელმძღვანელებს კანონმდებლობისა და მის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, მათ შორის კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს N21 დადგენილებით დამტკიცებული წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პატივისცემით,

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

0194 ქ. თბილისი, ა.მიცკევიჩის ქუჩა №19
19 A. Mitskevichi str. 0194 Tbilisi Georgia
ტელ./Tel.: (032)242-01-80
ფაქსი/Fax.: (032)242-01-60
ელ-ფოსტა: mail@gnerc.org
ვებ-გვერდი:www.gnerc.org